საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირმისბაწარა

ირმისბაწარა

ირმისბაწარა (Hericium coralloides), თეთრი, მარჯნისებრი ფორმის საჭმელი სოკო ზღარბასოკოების ოჯახისა. მისი თეთრი ან მოყვითალო ნაყოფსხეული დატოტვილია და მოფენილია გრძელი, თავდაპირველად თეთრი, შემდეგ კი მოყვითალო-ვარდისფერი ეკლებით. რბილობი თავიდან თეთრია და რბილი, შემდეგ – მოყვითალო და უხეში.

საქართველოში იზრდება ზაფხულში და შემოდგომაზე გამხმარ და დამპალ ფოთლოვან ხეებზე, განსაკუთრებით წიფელზე. საკვებად ვარგისია ნედლი.

ი. ნახუცრიშვილი

ა. ჯორჯაძე